და საბოლოდ შეჯამებულია მიზეზები, თუ რატომ მიმართავდა თავის ქალას ხელოვნურად დეფორმაციის პრაქტიკას მცხეთის მოსახლეობა. სურ. 7, ცხრ. 7, ლიტ. 28.

ავტ.

1.6.1.2.11. ადამიანის გავრცელება კავკასიაში უკანასკნელი გამყინვარების უცივეს და უმშრალეს პერიოდში. /ა. გავაშელიშვილი/. სამხრეთ კავკასია – არქეოლოგიური კონტექსტი. – 2020. – #1. – გვ. 117-132. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.
მას შემდეგ, რაც ანატომიურად თანამედროვე ადამიანი წარმოიშვა, მემკვიდრეობით კლონურად გადაცემულ დნმ-ში (მაგალითად, Y-ქრომოსომა და მიტოქონდრიული დნმ) დაგროვდა გენეტიკური მრავალფეროვნება, რითიც დგინდება ადამიანის წარმოშობისა და ევოლუციის გზები. სტატიაში მოცემულ კვლევაში გამოყენებულია Y-ქრომოსომული შტოები (ანუ მამური შტოები), რომლებიც წარმოიშვა უკანასკნელი გამყინვარების დროს. საკვლევი ჰიპოთეზის თანახმად გეოლოგიურ წარსულში უმთავრესი მოვლენა, რომელსაც შეეძლო გამოეწვია გენეტიკური განსხვავებები ადამიანთა პოპულაციების ერთმანეთისგან რეპროდუქტიულად დაშორებით (ე.ი. იზოლაციით), იყო გამყინვარების პერიოდის ტემპერატურული მინიმუმების თანმიმდევრობა. ავტორის ჰიპოთეზა მოტივირებული იყო იმით, რომ ტემპერატურულ მინიმუმთა თარიღები თითქმის ემთხვეოდა მამური შტოების წარმოშობის სხვა მკვლევარების მიერ ნავარაუდევ პერიოდებს. შესაბამისად, ამ მინიმუმების დროს ბიომების გავრცელებას უნდა მოეხდინა გავლენა მამური შტოების წარმოქმნასა და გავრცელებაზე. სურ. 1, ცხრ. 6, ლიტ. 1.

ავტ.

6.2. ენა და ლიტერატურა

6.2.1. ენების ზოგადი კვლევები

1.6.2.1.1. სახელის ფუძის განსაზღვრის მეთოდოლოგიური ასპექტები ქართულში. /რ. გერსამია/. ენა და კულტურა. – 2019. – #22. – გვ. 14-20. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.
სახელის ფუძე ის მონაცემია, რომელსაც უკავშირდება მისი ლექსიკური მნიშვნელობა და სტრუქტურულად ყველა ფლექსიური აფიქსის ჩამოშორებით მიიღება. -ებ მორფემის ფუნქციები დგინდება სინტაგმატური და პარადიგმატული მიმართებებით, მორფემათა რანგობრივი სტრუქტურის ანალიზით, ის აღნიშნავს სემანტიკურ სიმრავლეს და აწარმოებს რიცხვის (მრავლობითის) გრამატიკულ კატეგორიას, ანუ მას აქვს როგორც დერივაციული, ისე ფლექსიური აფიქსის სტატუსი, რომელიც დერივაციულ და ფლექსიურ მოდელებში მისი პოზიციის განსაზღვრით დგინდება. ლიტ. 6.

ავტ.

1.6.2.1.2. ქართული ჟესტური ენის ზმნის პირიანობა. /თ. მახარობლიძე/. ენა და კულტურა. – 2019. – #22. – გვ. 31-40. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.
ქართულ ჟესტურ ენაში, ისევე როგორც სხვა ჟესტურ და სამეტყველო ენებში, ზმნას შეიძლება ჰქონდეს სუბიექტი და ობიექტები. როგორც ცნობილია, ჟესტური ენები მრავალპირიანი ზმნების მქონე ენებია, თუმცა თავად პირიანობისა და ვალენტობის ცნებათა გაგება ამ ენებში განსხვავებულია სამეტყველო ენების შესაბამისი კატეგორიებისაგან. პოლიპერსონალურია (ანუ ინკორპორირებულია) ზმნის ფორმა, რომელსაც შეუძლია კინეტიკურად ასახოს ობიექტისკენ მიმართული ან ორიენტირებული დინამიკა. ჟესტურ ენებში ვალენტობა უტოლდება პირიანობის ცნებას, სამეტყველო ენებში კი ეს ცნებები განსხვავებულია. პირიანობა ჟესტურ